საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030121314567120

№ 01-441/ო **04 / სექტემბერი / 2020 წ.**

,,სეზონური გრიპისა და COVID-19-ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის N01-150/ ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. ,,სეზონური გრიპისა და COVID-19–ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/ რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის N01-150/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებას 6^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს 6^2 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,6^2. ბრძანების 6^1 პუნქტის შესაბამისად, ოპტიმიზაციას დაქვემდებარებული დაწესებულებები 2020 წლის 4 სექტემბრიდან ვალდებულნი არიან გადავიდნენ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ რეჟიმზე.“.

2. ბრძანების N2 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე